პაციენტთა უსაფრთხოების
საქართველოს ალიანსი

ექიმები
პაციენტთა
უსაფრთხოებისთვის

დაეხმარეთ ექიმს უშეცდომოდ მიმკურნალოთ

რა არის პაციენტთა უსაფრთხოება

პაციენტის სამახსოვრო

პაციენტთა უსაფრთხოების
საქართველოს ალიანსი

ნაშრომი დაბეჭდილია **GlaxoSmithKline** - ის
მხარდაჭერით

თბილისი 2008

რა არის პაციენტთა უსაფრთხოება

- ყველა პაციენტს ყოველთვის აქვს ეფექტური, უსაფრთხო ჯანდაცვის უფლება
- პაციენტის უსაფრთხოება გულისხმობს სამედიცინო დახმარების დროს შემთხვევითი დაზიანებისაგან დაცულობას
- სამედიცინო ფიცი — **"უპირველეს ყოვლისა, არ ავნო"** — ექიმების, ექთნების ან ფარმაცევტების მიერ იშვიათად ირღვევა შეგნებულად
- ვერცერთი ქვეყანა — განვითარებული თუ განვითარებადი — ვერ იტყვის, რომ ბოლომდე დაძლია პაციენტთა უსაფრთხოების პრობლემა
- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, განვითარებულ ქვეყნებში ყოველი მეათე ადამიანი ზიანდება სამედიცინო დახმარების მიღების დროს; განვითარებად და გარდამავალ ქვეყნებში მათი სავარაუდო რიცხვი მნიშვნელოვნად მეტია
- სამედიცინო შეცდომა შეიძლება შეეხოს ნებისმიერ პაციენტს ნებისმიერი სახის სამედიცინო დაწესებულებაში

- სამედიცინო შეცდომების მიზეზები მრავალია, მაგრამ მათი უმეტესობა არა ინდივიდის ქმედების, არამედ სამედიცინო სისტემის გაუმართაობის შედეგია
- ამდენად, კითხვა **"ვინ არის დამნაშავე?"** უნდა შეიცვალოს კითხვით: **"რატომ მოხდა შეცდომა?"**; დადანაშაულების კულტურა უნდა ჩაანაცვლოს უსაფრთხოების კულტურამ
- სამედიცინო პერსონალის და ფარმაცევტების გაკიცხვას, დადანაშაულებას და დასჯას არცერთ ქვეყანაში არასდროს მოუტანია შედეგი
- **პაციენტის აქტიური ჩართვა სამედიცინო დახმარების პროცესში** შეცდომების თავიდან აცილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა.

მაია ცქიტიშვილი, გიორგი გეგელაშვილი, მაკა დანელია

www.gesafety.org

უსაფრთხოების რჩევები პაციენტს

- **დაუსვით ექიმს შეკითხვები,** ვიდრე არ დარწმუნდებით, რომ ყველაფერი გასაგებია თქვენთვის. თუ საჭიროდ მიგაჩნიათ, დაიხმარეთ თქვენი მეგობრები ან ნათესავები ინფორმაციის სწორად მიღებაში
- **შეინახეთ ყველა დანიშნულება** და თან იქონიეთ ექიმთან ვიზიტის დროს; ჩამოთვალეთ ყველა ის წამალი ან საკვების დანამატი, რომელსაც ოდესმე ღებულობდით
- **გაიხსენეთ,** ხომ არ გქონდათ რომელიმე წამალზე ალერგია ან სხვა საყურადღებო გამოვლინება.
- **მოითხოვეთ ყველა გამოკვლევის დათარიღებული დასკვნა.** გამოკვლევის შემდეგ დაუკავშირდით თქვენს ექიმს და შეეკითხეთ, ხომ არაფერი იცვლება მკურნალობაში
- **ექიმის ვიზიტის ან საავადმყოფოდან გამოწერისას** დაწვრილებით ჩაიწერეთ: რომელ სიმპტომებს მიაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, როდის გჭირდებათ შემდეგი კონსულტაცია, საჭიროა თუ არა დიეტა, რომელ მედიკამენტებს მოერიდოთ, როგორი ფიზიკური აქტივობაა სასურველი თქვენთვის

- მკურნალობის ან გამოკვლევების დასრულებისას **მოითხოვეთ ექიმის დასკვნა ან ამონაწერი ავადმყოფობის ისტორიიდან**
- **დარწმუნდით**, რომ შეგიძლიათ ექიმის დანიშნულების წაკითხვა
- **შეამოწმეთ,** ნამდვილად ის მედიკამენტი და იმ დოზით შეიძინეთ, რომელიც ექიმმა დაგინიშნათ? შეამოწმეთ არის თუ არა თქვენი წამალი „დასახელებით მსგავსი მედიკამენტების სიაში", თუ რაიმეში ეჭვი გეპარებათ, ჰკითხეთ ფარმაცევტს აფთიაქში ან დაუკავშირდით თქვენს ექიმს
- **გახსოვდეთ,** ყველა მედიკამენტს სასურველთან ერთად შეიძლება ჰქონდეს არასასურველი მოქმედებაც. დროულად აცნობეთ ექიმს ნებისმიერი თანამოვლენის შესახებ
- **ზოგიერთ დაავადებას სჭირდება ხანგრძლივი ან მუდმივი მკურნალობა,** მაგრამ ეს ნუ შეგაშინებთ: სწორი მკურნალობა პრაქტიკულად უსაფრთხოა ორგანიზმისათვის.

ექიმის გარეშე მკურნალობას ნუ დაინიშნავთ
არასწორად მიღებული წამალი, ზოგჯერ, საწამლავია
ითანამშრომლეთ ექიმთან, ექთანთან და ფარმაცევტთან

www.gesafety.org